გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

საქართველოს კანონის პროექტზე:

„საპარლამენტო ფრაქციის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ"

ა. ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა. კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონის მიღების მიზეზია პოლიტიკურ სუბიექტებს შორის მიღწეული შეთანხმება, ასევე კონსტიტუციაში განხორციელებული ცვლილებები, რაც გულისხმობს პარლამენტის ექვსი წევრისაგან ფრაქციის შექმნის შესაძლებლობას.

ა.ბ. კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია საქართველოს პარლამენტში ოპოზიციური პარტიებიდან წარმოდგენილი პარლამენტის წევრებისათვის ფრაქციის შექმნისათვის შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება.

ა.გ. კანონპროექტის ძირითადი არსი:

პროექტის შესაბამისად ფრაქციის შექმნისათვის საჭირო რაოდენობა ნაცვლად 7-სა განისაზღვრა პარლამენტის 6 წევრით.

ბ. კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა. კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება დაკავშირებული არ არის საბიუჯეტო სახსრების ხარჯვასთან.

ბ.ბ. კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ. კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ. სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

სახელმწიფოს რაიმე, ახალი ფინანსური ვალდებულება არ უჩნდება.

ბ.ე. კანონპროექტით მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროეტის მოქმედება:

პირებს, რომლებზედაც გავრცელდება კანონის მოქმედება არ წარმოეშობათ რაიმე სახის ფინანსური ვალდებულება.

ბ.ვ. კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი:

რაიმე სახის გადასახადი, მოსაკრებელი ან გადასახდელი არ დგინდება.

გ. კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა. კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის შინაარსი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ. კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ. კანონპრექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია, დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს შემუშავებაში:

კანონპროექტის შემუშვებაში ამ პუნქტით გათვალისწინებულ ორგანიზაცია/დაწესებულებებს და ექსპერტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაცია-დაწესებულების ან/და ექსპერტების შეფასება:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორები არიან საქართველოს პარლამენტის წევრები ლაშა თორდია და პავლე კუბლაშვილი.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

კანონპროექტის ინიციატორები არიან საქართველოს პარლამენტის წევრები ლაშა თორდია და პაველ კუბლაშვილი.